საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1020
2024 წლის 16 აგვისტო

ქ. თბილისი

„იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2024 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 25 იანვრის №981 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2024 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 25 იანვრის №981 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 25/01/2024, სარეგისტრაციო კოდი: 170000000.22.027.017469) დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2024 წელს

სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

№	დასახლება	2024 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა	შენიშვნა
1	დაბა მესტია	1	მაღალმთიანი დასახლება
2	ქალაქი ბაღდათი	1	
3	ქალაქი ჩხოროწყუ	1	
4	ქალაქი ტყიბული	1	
5	ქალაქი დმანისი	1	მაღალმთიანი დასახლება
6	ქალაქი ქობულეთი	2	
7	ქალაქი კასპი	1	
8	ქალაქი ახალციხე	1	

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 8 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**